

**ალასანია: ჯერჯერობით კვლავ უცნობია, რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი მინისტრმა  
"სანამ არ მექნება ზუსტი ინფორმაცია, დასკვნას ვერ გავაკეთებ"**

იაგო ნაცვლიშვილი  
(24.06.2015)

"არ ვიცი, რა იარაღს ყიდულობს თავდაცვის სამინისტრო. ამიტომ დააყენა ჩვენი საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთმა წევრმა ეს საკითხი, რომ ნდობის ჯგუფის ფორმატში მოხდეს ქალბატონ თინასთან გასაუბრება და შემდეგ ამ ხელშეკრულების ნახვაც, თუ რა მასშტაბის და შესაძლებლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამის შემდეგ შეიძლება დასკვნის გაკეთება არის თუ არა ეს ის მემორანდუმი, რომელსაც მე მოვაწერე ხელი. სანამ არ მექნება ზუსტი ინფორმაცია, რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი მინისტრმა, იქამდე დასკვნას ვერ გავაკეთებ," - აცხადებს "რეზონანსთან" საუბრისას "თავისუფალი დემოკრატების" ლიდერი და თავდაცვის ყოფილი მინისტრი ირაკლი ალასანია.

ის კომენტარს "კაბელების საქმეზე" აკეთებს. ამბობს, რომ ივანიშვილმა პირველი მარცხი განიცადა. მისი თქმით, ისიც გამოჩნდა, რომ ივანიშვილსა და სააპელაციო სასამართლოს შორის პოლიტიკური გარიგება მოხდა.

თბილისში მომხდარ სტიქიურ უბედურებასთან დაკავშირებით კი ამბობს, ამან წინასწარი შეტყობინებისა და სწრაფი ევაკუაციის გეგმების არქონა გამოაშკარავა.

**ირაკლი ალასანია:** "კაბელების საქმეზე", როგორც მოქალაქეს, გამიმყარდა იმის რწმენა, რომ სიმართლისთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯო და ეს ბრძოლა დაგვიფასდება. დღევანდელი გადაწყვეტილება არის ის, რომ სიმართლე დაფასა სასამართლომ და მოქალაქეებს სასამართლო ინსტიტუტის მიმართაც რწმენა აგვიმაღლდა. პროკურატურის წარმომადგენლები გამოჩნდნენ არაკვალიფიციურები და უსუსურები. მიინდა გითხრათ, რომ დღეს დამარცხდა უზუნო პოლიტიკური დაკვეთა, რომელიც მოდიოდა ბიძინა ივანიშვილისგან.

**"რეზონანსი": რატომ ფიქრობთ, რომ ეს პირადად ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური დაკვეთა იყო?**

**ი.ა:** ეს ჯერ კიდევ გასულ წელს დაუკვეთა ბიძინა ივანიშვილმა. დღეს უკვე ცხადი გახდა, რომ თავდაცვის სამინისტროს ყოფილი მაღალჩინოსნები უდანაშაულოები არიან. ველოდები, რომ საქმე მალე საერთოდ შეწყდება. შემდეგ უკვე უნდა დადგეს კონკრეტული პირების პასუხისმგებლის საკითხი, ვინც ეს ადამიანები ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ტყვეებად აქცია და ციხეში გამოკეტა.

**"რ": პროკურატურის უსუსურობაზე საუბრობთ, რაში გამოიხატება ეს?**

**ი.ა:** არ ჰქონდა მტკიცებულებები, არანაირი არგუმენტები მათ არ გააჩნდათ. გამოჩნდა ისიც, რომ სააპელაციო სასამართლომ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ დაკითხვის ოქმი არც კი არსებობს, რომელსაც სააპელაციო სასამართლო უნდა დაყრდნობოდა. პროკურატურაც არაკვალიფიციური იყო, ძალიან ბევრი კითხვა გაჩნდა სააპელაციო სასამართლოს მიმართ. ადრეც გავუსვი ამას ხაზი და ახლაც გავიმეორებ თქვენთან ინტერვიუში, რომ სააპელაციო სასამართლო პრაქტიკულად გარიგებაში შევიდა ბიძინა ივანიშვილთან, როდესაც

ივანიშვილმა შეცვალა ინიცირებული კანონპროექტი. ვგულისხმობ სასამართლოების თავმჯდომარეების არჩევის წესთან დაკავშირებით მომზადებულ კანონპროექტს.

დღევანდელი დღე არის პირველი გამარჯვება, რომელიც დიდი გამარჯვების საფუძველს ქმნის.

**"რ": ჯერ კიდევ სასამართლო სხდომამდე ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება, არ ვიცი, რა უხარია ირაკლი ალასანიასო.**

**ი.ა:** ამ კონკრეტულ საკითხში მე მიხარია, რომ სიკეთემ ბოროტებაზე გაიმარჯვა და უდანაშაულო ადამიანები ოჯახებს დაუბრუნდნენ. არ მიკვირს, რომ ბიძინა ივანიშვილს არ ესმის ადამიანური სიხარული და ტრაგედია, მისდა სამწუხაროდ, ეს გრძნობები მისთვის უცხოა. მიხარია ის, რომ საზოგადოებას დაუბრუნდა რწმენა. პროკურატურამ უკან დაიხია, ვინაიდან დაინახა, რომ ეს ქვეყანა ჩალით არ არის დაფარული. ასე რომ, ბევრი რამ არის სასიხარულო, თუმცა ქვეყანაში ისეთი სტიქიური უბედურება მოხდა, რომ ჩვენი სიხარული ტრაგედიამ გადაფარა.

**"რ": პროკურატურა აღმკვეთ ღონისძიებად 8 თვის განმავლობაში პატიმრობას ითხოვდა, ბოლოს კი შეცვალა გადაწყვეტილება და 10000-ლარიანი გირაო მოითხოვა. როგორ ფიქრობთ, რა მოტივით?**

**ი.ა:** მათ უნდოდათ დასწრება სასამართლო გადაწყვეტილებისთვის. მათ დაიხიეს უკან, მაგრამ ამავე დროს სახის შენარჩუნება უნდოდათ. ამიტომ დაასწრეს მოვლენების განვითარებას. გირაოს მოთხოვნაც მათი მხრიდან ცინიკური იყო. რატომ უნდა გადაიხადონ გირაო უდანაშაულო ადამიანებმა?! მოსამართლემ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო, როდესაც დაცვის მხარის შუამდგომლობა დააკმაყოფილა და არა ბრალდების.

**"რ": თქვენმა ყოფილმა თანაგუნდელმა თეა წულუკიანმა თქვა, რომ პროკურატურა საკითხს ევროპულად მიუდგა, რაც სწორიაო...**

**ი.ა:** როგორც ჩანს, წულუკიანისთვის "ევროპული" გახდა ის, რასაც ჩვენ ერთად ვებრძოდით ადგილობრივი დროს. როგორც ჩანს, ზოგიერთ ადამიანს თანამდებობა ცვლის.

**"რ": ნაწყენი ხართ მასზე, რომ არ დადგა თქვენ გვერდით, როდესაც ხელისუფლება დატოვეთ?**

**ი.ა:** ჩემი ადამიანური განცდები საზოგადოებისთვის საინტერესო არ არის. მე ვაკეთებ პოლიტიკურ შეფასებებს. ყველა ადამიანი თავად იღებს გადაწყვეტილებას და თეამაც მიიღო ეს გადაწყვეტილება, რაც, რა თქმა უნდა, მისი არჩევანი იყო.

**"რ": წმინდა სამართლებრივად რომ შეაფასოთ და არა როგორც მხარემ, მიგაჩნიათ თუ არა, რომ პროკურატურის მიერ აღმკვეთი ღონისძიების ფორმის შეცვლა სწორი გადაწყვეტილება იყო?**

**ი.ა:** ახლა ამას აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ახლა უკვე გადაწყვეტილების მიღება სასამართლოზე იყო დამოკიდებული. ასე რომ, მათი სახის შენარჩუნების მცდელობა ვერ შედგა. უდანაშაულო ადამიანები არ უნდა გამოეკეტათ ციხეში, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეჭვი ჰქონდათ მათ მიმართ. ეს ადამიანები აგრძელებდნენ

გამოძიებასთან თანამშრომლობას და არც იმის საფუძველი არსებობდა, ეფიქრათ, რომ სადმე მიიმალეობდნენ. მათი დაპატიმრება თავიდანვე უზნეო იყო. მით უმეტეს, რომ მათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის გარკვეული წვლილი აქვთ შეტანილი.

**"რ": თავდაცვის მინისტრმა თინა ხიდაშელმა საფრანგეთთან გააფორმა ხელშეკრულება საჰაერო შეიარაღებასთან დაკავშირებით. არის თუ არა ეს ის იარაღი, რომლის ყიდვასაც თქვენ აპირებდით?**

**ი.ა:** არ ვიცი, რა იარაღს ყიდულობს თავდაცვის სამინისტრო. ამიტომ დააყენა ჩვენი საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთმა წევრმა ეს საკითხი პარლამენტში, მოითხოვა, რომ ნდობის ჯგუფში მოხდეს ქალბატონ თინასთან გასაუბრება და შემდეგ ამ ხელშეკრულების ნახვაც, თუ რა მასშტაბის და შესაძლებლობის ხელშეკრულება გაფორმდა. ამის შემდეგ შეიძლება დასკვნის გაკეთება, არის თუ არა ეს ის მემორანდუმი, რომელსაც მე მოვაწერე ხელი.

მე დავასახელე მისი მოქმედების ხასიათი, მე იარაღი არასოდეს არ დამისახელებია, რაც ბუნებრივია, დაფარული უნდა იყოს საჯარო განხილვებისთვის, ამიტომ მოვითხოვეთ მისი განხილვა ნდობის ჯგუფში.

**"რ": თუმცა გავრცელდა ინფორმაცია, რომ ეს არ არის ის იარაღი, რომელიც თქვენ უნდა გეყიდათ...**

**ი.ა:** ვიდრე არ მექნება ზუსტი ინფორმაცია, რა ხელშეკრულებას მოაწერა ხელი მინისტრმა, იქამდე დასკვნას ვერ გავაკეთებ.

**"რ": ხიდაშელმა განაცხადა, რომ ალასანია მხოლოდ საუბრობდა, კონკრეტული ნაბიჯები კი მინდია ჯანელიძემ გადადგაო...**

**ი.ა:** მერე მან შეცვალა ეს განცხადება და სხვა შინაარსის განცხადება გააკეთა. ხიდაშელმა კარგად იცის, რას მოვაწერე ხელი, ეს მას ნანახიც აქვს. როდესაც შევხვდი, მაშინაც ვესაუბრე ამაზე.

თავიდან რატომ გააკეთა ასეთი არაადეკვატური განცხადება, ამას მე ვერ გეტყვით, ამაზე მან უნდა გიპასუხოთ.

**"რ": 13 ივნისს თბილისში მომხდარი სტიქიური უბედურების შესახებ რას იტყვით? გაუმკლავდა თუ არა ხელისუფლება არსებულ გამოწვევებს?**

**ი.ა:** უდიდესი ტრაგედია დაგვატყდა თითოეულ ჩვენგანს. საზოგადოებაში გამოჩენილი სოლიდარობა მართლაც რომ სამაგალითო იყო. დავინახეთ, რომ ერთიანობა შეგვიძლია. ვისურვებდი, რომ მხოლოდ ტრაგედიები არ გვავერთიანებდეს. მეორე საკითხია ხელის გაშვება და დაბრალება, რაც ძალიან ცუდ ტენდენციად მიმაჩნია.

**"რ": რა გაკვეთილი გვასწავლა ამ ტრაგედიამ?**

**ი.ა:** იმისათვის, რომ მომავალში ასეთი ტრაგედიები თავიდან იყოს აცილებული, ორ საკითხს გამოვყოფ. პირველი ეს არის ის, რომ ქვეყანაში სერვისების მართვის გეგმა უნდა არსებობდეს. ის უნდა იყოს გაწერილი

თავისი სტანდარტული პროცედურებით. უნდა არსებობდეს გეგმა, სადაც წამყვანი უწყება გამოკვეთილი იქნება.

მეორე საკითხია, რომ წინასწარი შეტყობინების გეგმა უნდა დავენერგოთ. როდესაც მოსალოდნელია ძლიერი წვიმა, ქარი თუ სხვა, ამის შესახებ უნდა ვაცნობოთ საზოგადოებას.

**"რ": ტექნოლოგიურად ამის შესაძლებლობა გვაქვს?**

**ი.ა:** როგორ არ გვაქვს. როდესაც შენ იცი, რომ შესაძლოა წვიმა მოვიდეს და მდინარე ადიდდეს, მაშინ იმ მდინარის სანაპიროზე მცხოვრებლები უნდა გააფრთხილო და უნდა გქონდეს შემუშავებული ძალიან სწრაფი ევაკუაციის გეგმა. მას ამოქმედებ იმ შემთხვევაში, თუკი ამის საჭიროება დადგება. მე რე კი არ უნდა დაიწყო ამ გეგმის შედგენა, როცა უკვე სტიქიური უბედურების წინაშე დადგები, არამედ მანამდე. ეს არის სამომავლოდ გასაკეთებელი საქმე. ამ სტიქიური კატასტროფის დროს ეს ორი მთავარი პრობლემა გამოჩნდა, რომელიც სასწრაფოდ გამოსასწორებელია.

**"რ": სტიქიის შემდეგ ხელისუფლების მუშაობას როგორ შეაფასებთ?**

**ი.ა:** თავად ამ კრიზისის დროს დავინახე, რომ ყველა საჭირო ინსტრუმენტი ხელისუფლებას ხელში ჰქონდა. გაწვრთნილი და მობილიზებული სამაშველო სამსახური, პოლიცია, პატრული, ჯარი, სამედიცინო სტრუქტურები... თითქმის ყველაფერი ჰქონდათ, მაგრამ არ ჰქონდათ მთავარი - ერთიანი ჩანაფიქრი. ინფორმაციის წვდომა და გავრცელება არ იყო სწორი. ეს არის სამომავლოდ გასათვალისწინებელი საკითხები, რათა იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ.

**"რ": მიგაჩნიათ, რომ ამ შეცდომის შედეგია სტიქიის შემდგომი ტრაგედია, როდესაც ვეფხვმა კაცი სასიკვდილოდ დაგლიჯა?**

**ი.ა:** რა თქმა უნდა. არ შეიძლებოდა ამის გადაბრალება არავიზე. ზოოპარკის დირექტორზე გადაბრალების მცდელობა იყო. თითქოს მზადდებოდა გადაწყვეტილება, რომ ეს ტრაგედია ზოოპარკის დირექტორზე გადაებრალებინათ, მაგრამ საზოგადოების საყოველთაო აღშფოთებამ ეს გადაწყვეტილება შეაჩერა.

ვიცე-პრემიერმა კახა კალაძემ ყველაზე კარგად შეაფასა სიტუაცია, როდესაც მან თქვა, პასუხისმგებლობა ყველას თანაბრად გვეკუთვნისო. ზოგადად კალაძე იყო ყველაზე ადეკვატური ამ სტიქიური უბედურების დროს. მისი ქმედებაც, ნაბიჯებიც, გუნდურ პასუხისმგებლობაზე საუბარიც აბსოლუტურად სწორი იყო. საერთოდ კალაძე პასუხისმგებლობის მქონე ადამიანია. იყო ხელისუფლების შიგნით გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა, მაგრამ ამას მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს. მთავარია გეგმა და მას უნდა მიჰყვეს ყველა.